

## ჯადოსნური ზღაპრის ესქატოლოგია

თავის ფუძემდებლურ გამოკვლევაში "ზღაპრის მორფოლოგია" (1928) ვლადიმირ პროპი ზღაპრის პერსონაჟს განიხილავს როგორც ერთი გარკვეული ფუნქციის მატარებელს თუ შემსრულებელს. უგულებელყოფს რა მის ვინაობას, რაც, მკვლევარის აზრით, (და ეს აზრი სწორია), ცვლად, ზღაპრიდან ზღაპარში ცვალებად სიდიდეს წარმოადგენს. "ზღაპრის შესასწავლად მნიშვნელოვანია საკითხი – რას აკეთებენ ზღაპრული პერსონაჟები, ხოლო საკითხი, თუ ვინ აკეთებს და როგორ აკეთებს, შესწავლისათვის უკვე მეორეხარისხოვანია". – ასევე ვლ. პროპი. მისთვის ზღაპრის პერსონაჟი მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციონერია, მისი ვინაობა ზღაპრის არსის შემსწავლელს არც უნდა აინტერესებდეს; ამდენად ასეთი მიდგომა ზღაპრისადმი ფორმალისტურია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ გზაზე გასული მკვლევარი ჭეშმარიტებამდე ვერ მივა. მაგრამ ეს იქნება ცალმხრივი ჭეშმარიტება, და არა ზღაპრის, როგორც მთლიანობის ჭეშმარიტება.

თუმცა მკვლევარს "ზღაპრის მორფოლოგიაში" ზღაპრის ტექსტის მხოლოდ ფორმა (სტრუქტურა) ჰქონდა აღებული კვლევის საგნად და არა მისი შინაარსი ანუ იდეოლოგია, მაინც ამ "ფორმალისტურ აჩრდილში", როგორც ეს წიგნი მონათლა თავის მეტისმეტად მკვეთრად დაპირისპირებულ სტატიაში კლოდ ლევისტროსმა, არის ამ ნაშრომში პროპის ჩანაფიქრისთვის სრულიად მოულოდნელი სხივი, რომლის გამოჩენა ვერ აიხსნება ფორმალისტური ნიადაგიდან. ეს არის მეფის ასული, რომელიც თავისი ზუსტი ვინაობით ობლად გამოიყურება მკვლევარის მიერ სახელდებულ სხვა პერსონაჟთა შორის. მაგნე, მჩუქებელი, შემწე, გამსტუმრებელი, ცრუგმირი, გმირი (ნამდვილი) – ყველანი ესენი უპიროვნო ფუნქციონერები არიან პროპისეულ კანონიერ სიაში, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის აუცილებელ პერსონაჟთა ერთობლიობას წარმოადგენს. ამ ექვს ფუნქციონერს ემატება მეფის ასული, რათა შეიქმნას სრული (საკრალური) რიცხვი – შვიდი, მეფის ასულია ერთადერთი, რომელიც არ ატარებს "სამსახურებრივ" სამოსელს (ფორმას) და უშუალოდ აცხადებს თავის ვინაობას. მართლაც, ვინ უნდა შეასრულოდ "მეფის ასულის" ფუნქცია – მეფისასულობა", თუ არა ისევ მეფის ასულმა? მაგრამ ზღაპრული სამყაროს ქსოვილის შემდგომი კვლევა-ძიებისას დავიწყებას მიეცა მეფისასულობის საიდუმლო, რაც მით უფრო გაუგებარია, რომ მას პროპისავე ნაშრომში მხარს უმშვენებს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიც არის: მხილება, ტრანზიგურაცია (ფერისცვალება), განკითხვა, ქორწილი, გამეფება. შემთხვევით ხომ არ აღმოჩნდა, ისმის კითხვა, მის ტერმინოლოგიურ, საკმაოდ ნოვატორულ, სისტემაში ეს ფუნდამენტური დასახელებანი? თუკი 20-იან წლებში, როცა "ზღაპრის მორფოლოგია" იწერებოდა, ახალგაზრდა მკვლევარის კონცეფციაში ისინი თავიანთ ძირეული მნიშვნელობით იყო წარმოდგენილი "მეფის ასულთან" ერთად, მაშინ სრულიად გაუგებარია, რამ წარმოშვა ორი ათეული წლის შემდეგ "ჯადოსნური ზღაპრის ისტორიული ფესვები" (1946), რომელიც აშკარად უკანგადადგმული ნაბიჯია "ზღაპრის მორფოლოგიის" შემდეგ. მორფოლოგია, ავტორისავე აღიარებით, უნდა ყოფილიყო ის საფუძველი, რომელზედაც უნდა დაშენებულიყო ზღაპრის იდეოლოგიური სისტემის კვლევა. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ მორფოლოგიურ კვლევას მოჰყოლოდა ზღაპრის ეთიური სინამდვილის გახსნა, რომლის საწინდრი, უნდა ვიფიქროთ, მეფის ასული და ხსენებულ ფუნქციათა სემანტიკა იყო, ავტორი შეუდგა არქეოლოგიურ წიაღსვლას ზღაპრის ცოცხალ ორგანიზმში იმ მკვდარი ფენის გამოსავლინებლად, რომელიც მან ზღაპრის ისტორიულ საფუძველად მიიჩნია, თითქოს ამ არქეოლოგიურ ფენაში შეიძლებოდა ამოკითხულიყო საიდუმლო, რასაც ნამდვილად იმარხავს ზღაპარი და რაც ქმნის მის გაუხუნარ აქტუალობას.

ნუთუ მხოლოდ იმისთვის განიძარცვა მორფოლოგიური ანალიზის მომარჯვებით ზღაპრის მარადიული ხერხემალი მისი წარმატებული სამოსელისაგან, რათა კვლავ პრეისტორიული არქეოპტერიქსის ბუმბულით შემოსილიყო? ამგვარად მესახება გზა "ზღაპრის მორფოლოგიიდან" დაღმასვლით "ჯადოსნური ზღაპრის ისტორიულ ფესვებამდე". მაგრამ

ზღაპრის ჭრელი სამოსელის მიღმიდან აშუქებს ზღაპრის საიდუმლოს სხივი, რომელიც, შესაძლებელია, სწორედ მორფოლოგიური ანალიზის მეშვეობითაც გამოჩენილიყო. თუმცა არსებობს ზღაპრის საიდუმლოს შემეცნების სხვა გზაც, ინტუიტიური გზა, რომელსაც ადგას ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ევგენი ტრუბეცკოი (1863-1920), თავის შესანიშნავ, დღესდღეობით მივიწყებულ ნაშრომში "სხვა სამეფოს ძიება რუსულ ზღაპარში".\* ავტორი უეჭველად თვლიდა, რომ "ზღაპარი შეიცავს მდიდარ მისტიურ გამოცხადებას; მისი ზეაღსვლა ყოფითობიდან სასწაულებრივისაკენ, ძიება "სხვა სამეფოსი", წარმოადგენს სულიერი ცხოვრების უდიდეს ფასეულობას და აუცილებელ საფეხურს იმ კიბეზე, რომელსაც ხალხური შეგნება წარმართობიდან ქრისტიანობამდე აჰყავს". ავტორს მაგალითად აქვს რუსული ზღაპარი, მაგრამ მისი სიტყვები, მთელი მისი ნააზრვეი რუსულ ზღაპარზე, არანაკლები ძალით მიეწერება ქართულ ზღაპარსაც და, საზოგადოდ, იმ ხალხების ზღაპრებს, რომლებიც ბიზანტიური კულტურის წრეში შემოდიან. ასევე, ვლადიმირ პროპს მორფოლოგიური კვლევის მასალად ქართული ზღაპრები რომ აეღო, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, განსხვავებულ დასკვნამდე არ მივიდოდა, რადგან ერთია ჯადოსნური ზღაპარი. ამას ადასტურებს პროპის მეოთხე ძირითადი თეზისი: "ყველა ჯადოსნური ზღაპარი თავისი აღნაგობით ერთი ტიპისაა".

და რაკი ყველა ზღაპარი ერთი ტიპისაა, ერთი აღნაგობისაა, ერთი უნდა იყოს მისი ჭეშმარიტებაც, რომელსაც უსათუოდ ინახავს იგი. იკვლევენ ზღაპრის შექმნა-ჩამოყალიბების ადგილს, სად და როგორ "აიწყო" იგი, მაგრამ არ დასმულა კითხვა – თუ რა შეიქმნა ზღაპრის სახით, რას გვეუბნება იგი, ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახვითი-ქვესკნელ-ზესკნელის და ცხრამთასიქითა ქვეყნის, ოცნებათა სამყაროს ფანტასტიკას? მხოლოდ აუხდენელ ოცნებათა გამოსახატავად არის იგი მოწოდებული, თუ რაღაც მნიშვნელოვან საიდუმლოს ინახავს ფანტასტიკის სამოსელში?

ეს ჭეშმარიტება ხომ არ არის ის მარილი, რომელიც, უკვე რამდენი საუკუნეა, იცავს ჯადოსნური ტიპის ზღაპარს ხრწნილებსაგან? ინახავს მის სტრუქტურას რვევისაგან, რასაც ვერ ასცდა ხალხური სიტყვიერების ვერცერთი ჟანრი?

ზღაპრის ჭეშმარიტება, მისი საიდუმლო მის სხეულშია საძიებელი, მის ხერხემალშია აღბეჭდილი. მაგრამ ხერხემლის რომელ მაღლაში აღწევს იგი თავის სიცხადეს და განსრულებას? უნდა ვიფიქროთ, რომ ზღაპრის საიდუმლო მის დასასრულში არის გაცხადებული. მთავარი გმირის ხასიათი, მისი ძიების საგანი, ზღაპრის ფუნქციათა არსი და თანამიმდევრობა – მთელი ეთოსი ზღაპრისა გვაფიქრებინებს, რომ ზღაპარი თავისი ბუნებით ესქატოლოგიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დროჟამი საბოლოო დასასრულისკენ არის მიმართული.

\* \* \*

"გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად და კუალად დაუტყვევებ სოფელსა და მივალ მამისა"  
(იოანე, 16,28)

მაცხოვრის ეს სიტყვები შეგვიძლია წარმოვთქვათ ზღაპრის გმირის მაგივრად, იმ უფლისწულისა, რომელმაც დატოვა მამის სახელი და გავიდა წუთისოფელში თავის საკუთარ სარბიელზე. მაგრამ, ზღაპრის წესით, როგორც გარდავალია მისი გასვლა, ასევე გარდაუვალია დაბრუნება. გასვლაშივე ჩამარხულია დაბრუნება. როგორც მარცვალი, საიდანაც საბოლოოდ გმირის სარბიელის ანუ წუთისოფლის დასასრული აღმოცენდება.

ყოველი დასასრული რაღაც მდინარების დაბოლოებაა, მაგრამ რას აბოლოებს ზღაპრის დასასრული, რისი ბოლოა იგი?

მორის მეტერლინკი ერთგან წერს: განა შეშფოთება არ უნდა დაგვეუფლოს, როცა ზღაპრის დასასრულს გვეუბნებიან ზღაპრის გმირებზე, ბედნიერები გახდნენ? მართლაც,

მას შემდეგ, რაც კაცი უკვე სამშვიდობოს არის გასული, იმ იმედის ნაცვლად, რომელიც უკიდურეს გასაჭირში, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე კიაფობდა და რომელიც ახლა უკვე ამხდარია, ადამიანს ეუფლება "შიში, რადგან წუთისოფელი ისევ და ისევ თავის წესზე დგას. კვლავ ბატონობს "მთავარი იგი ამის სოფლისაი".

ამასვე გულისხმობდა მოციქული პავლე, როცა მიუწერდა თესალონიკელთ: "რამეთუ რაჟამს თქუან: მშვიდობაი და კრძალულებაი, მაშინ მეყსეულად მოიწიოს მათ ზედა მომსვრელი, ვითარცა საღმობაი შობადისა, და ვერ განერნენ" (1 თესალ. 5,3). მ. მეტერლინკის სიტყვები სამართლიანი იქნებოდა, თუ ის სარბიელი ანუ ბოროტებითა და სიმუხთლით საგვცხოვრება, რომელიც განვლო ზღაპრის გმირმა, კვლავაც იარსებებდა. მაგრამ საიდანღა უნდა მოელოდეს ხიფათი ზღაპრის გმირებს, რომლებიც "ბედნიერები გახდნენ", თუკი უფლისწულმა ძლია ბოროტებას და გააუქმა მისკ ძალა, როგორც წარწერა გზაჯვარედინზე, "ამ გზით წახვალ, უკან ველარ დაბრუნდებიო"; ხოლო თუ კიდევ დარჩებოდა სადმე ბოროტების თესლი, მისგან კვლავ აღმოცენდებოდა ბოროტება, რაც ამას გახდიდა მთელს მის გარჯას, და მას თავიდან უნდა დაეწყო თავისი სვლა. მაგრამ ზღაპრის გმირს, რომელიც ერთია, ერთი ცხოვრება (ცდა) აქვს მოცემული და მას არ შეუძლია მისი განმეორება.

ამრიგად, არც ერთი ზღაპარი არ გულისხმობს ისეთ დასასრულს, რომლის იქით კვლავ იგივე წუთისოფელი განაგრძობს არსებობას თავისი ბოროტებით. ზღაპრის გმირმა განვლო წუთისოფელი და სძილა მას ამ ერთი განვლით, მასზე უნდა ითქვას, რომ მას "უძლევიეს სოფელსა", ერთი ნამცეცის რომ დარჩეს დაუძლეველი, გმირი არ დაბრუნდება უკან, მან უნდა დაასრულოს ძლევის საქმე; მისი ვალია არა მხოლოდ მამის დავალების შესრულება; რაც იყო მიზეზი მისი სახლიდან გასვლისა, არამედ წუთისოფლის დასრულება. თუ ის არ დაბრუნდებოდა უკან და სადმე, შუა გზაზე ჩაიჩეხებოდა, სამუდამოდ სოფლისაგან ძლეული, ზღაპარი მარხციანი იქნებოდა, მაგრამ განა არსებობს მარცხიანი ზღაპარი ანუ მარცხიანი ესქატოლოგია? მარცხიანი იქნებოდა ზღაპარი მაშინაც, თუ უფლისწული ცოცხალი დაბრუნდებოდა, მაგრამ უკან დარჩებოდა დაუძლეველი სოფელი და დაუმარცხებელი "მთავარი იგი ამის სოფლისა". უფლისწული ბრუნდება უკან, როგორც "ძე კაცისა" მოდის "ძველი დღეთას" ტახტთან, რათა მიეცეს მას "მეფობა და ხელმწიფება" (დანიელი, 7,27); ის გამარჯვებულია და მისი გამარჯვება აბსოლუტურია.

შინდაბრუნებული ახალ ეონში შედის, რათა ახალი ქვეყნის მეფე გახდეს, აქ მან უნდა იხილოს "ცაი ახალი და ქუეყანაი ახალი, რამეთუ პირვეილ იგი ცაი და პირველი იგი ქუეყანაი წარხდეს" (გამოცხადება, 21,1). "პირვეილ ცა" და "პირველი ქვეყანა" იმ წუთისოფლის ცა და მიწაა, რომელსაც ძ ია მან. ამგვარად განახლებული და განწმენდილი სამყარო იწყებს არსებობას, რაც იმის პირობაა, რომ ზღაპრის წყვილი- უფლისწული და მეფის ასული, როგორც ის პირველი ადამი და ევა, ბედნიერნი გახდებიან. ის ქორწილი, რომელიც მათი უზაკველი და უსაფრთხო ბედნიერების ნიშანია, ჩვეულებრივი, წუთისოფლური ქორწილი როდია: იგი ისეთ დღეს იმართება, რომელიც არ ღამდება, რომელსაც ამგვარად აღწერს ბასილი დიდი: "დიდი და დიდებულია უფლის დღე. საღვთო წერილი იცნობს ამ დღეს. დაუღამებელს, უხვალიოს, დაუბოლოებელს. მეფსალმუნემ მას უწოდა მერვე დღე, რადგან იგი შვიდეულიანი დროჟამის გარეშე დგას..." ზღაპრის ქორწილს იხდიან არა იმ შვიდეულის განმავლობაში ანუ წუთისოფლის დროჟამში, არამედ მერვე დღეს და ამიტომაც ის ნაზიარებია ამ დღის მარადიულობას.

ქორწილამდე უფლისწული გზაშია, ის თავის სარბიელზეა, ვნახოთ, რას წარმოგვიდგენს ზღაპრის გმირის სარბიელი ანუ ზღაპრის სამყარო, რომელიც შინიდან გასვლის შემდეგ გაიხსნა. გავრცელებული შეხედულებით, ზღაპრული სამყარო არსებობად უპირისპირდება ჩვენს ყოველდღიურ სინამდვილეს. ამ აზრით, თითქოს, ის, რააც ადამიანურ ყოფაში განუხორციელებელია, ადამიანის ფანტაზიან ზღაპრის სამყაროში გახადა შესაძლებელი. ეს ასეა ნაწილობრივ, რამდენადაც ზღაპარში ფანტასტიური ელემენტი მონაწილეობს. მაგრამ "ფანტასტიურობა" არ არის არსებითი ნიშანი ამ ტიპის ზღაპრებისთვის.

თუმცა ზღაპრის სინამდვილე ფანტასტიურია იმ აზრით, რომ როგორც ყოველი სიახლე, მისი პირველხილვისას მთელი თავისი უჩვეულობით გადაიშლება ზღაპრის გმირის წინაშე, როცა ის პირველად შედის ამ უცხო სინამდვილეში. ეს ის ქვეყანაა, სადაც გადის გმირის მთელი ცხოვრება და რომელიც ჩაივლის, როგორც ფანტასმა (ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობით: მოჩვენება, აჩრდილი); და მაინც ეს მისი ერთადერთი ასპარეზია, სადაც იზრდება ის, მწიფდება ზნეობრივად და გონებრივად, სადაც ხდება მისი, როგორც ადამის ძის უნარების თანდათანობითი მანიფესტაცია და მის წინაშე საგანთა და მოვლენათა დაფარულ თვისებათა გამოცხადება. შემეცნება სინამდვილისა და საკუთარი თავისა; ქვეყანა, სადაც აკეთებდა პირველ არჩევანს, გადიოდა განსაცდელს, გამოიცდებოდა ერთგულებაში და თავადაც განიცდიდა სხვათა ერთგულებას; იწვევდა მარცხს და აღწევდა გამარჯვებას; ითმენდა ღალატს, ძმებისაგან, რომლებიც ხაროში აგდებდნენ მას, რათა სამუდამოდ გაეწირათ დასაღუბად; ქვესკნელიც აქ იყო და გველეშაპიც, რომელიც უნდა დაეძლია მას, რათა ტყვეობიდან დაეხსნა ვინმე დატყვევებულ-მოჯადოებული. განა ეს ქვეყანა, სადაც ამდენი ამბავი ტრიალებდა უფლისწულის თავზე და მის გარშემო, ეს ჩვენი წუთისოფელი არ არის თავისი სიაკარგით? ის წუთისოფელი, სადაც უცხოვრიათ კაცობრიობის უთვალავ თაობებს და რომელიც თავისი განკითხვის დღეს და აღსასრულს მოელის?

ზღაპრის დროჟამი მთლიანად, უნაშთოდ მოიცავს გმირის წუთისოფლის დროჟამს, იმ ერთადერთს და განუმეორებელს, რომელიც ამოიწურება მისი შინამბრუნებისას, სახლის ზღურბლთან, მეფის კარზე, სადაც სრულდება ისეთი ესქატოლოგიური ფუნქციები ზღაპრისა, რომელიც არის (ვლ. პროპის ტერმინოლოგიით – მხილება, განკითხვა, ქორწილი, გამეფება).

მთავარი გმირის ესქატოლოგიური ანუ დასასრულისკენ მიმართული მოწოდება ვლინდება ერთ ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციაში, რომელიც ზღაპრული ქორწილის წინაპირობას ქმნის და, ამდენად, მისი არსებითი საფეხურია, თუმცა კი სცილდება სიტყვიერი შემოქმედების, როგორც გამონაგონის, სფეროს და სხვა მოტივებთან ერთად ონტოლოგიურ ღირებულებას იძენს, ეს არის გამოსხნა დატყვევებული ასულია. ამ აქტში მთელი ზღაპრული სამყაროს ანუ წუთისოფლის კეთილი ძალა სოლიდურია უფლისწულთან, რომელიც ევლინება ქვეყანას. მის ყოველ ქმნილებას (მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს) ჭეშმარიტ პატრონად, როგორადაც ადამი შექმნა ღმერთმა. უფლისწულის ესქატოლოგიური ამოცანა მწვერვალს აღწევს, მაშინ, როცა მის წინაშეა ბოროტი ძალით მოჯადოებული, ხშირად, ცხოველის ტყავში მოქცეული ასული მეფისა, მომლოდინე მსხნელისა, რომელმაც უნდა დაძლიოს ზიზიდი სიმახინჯის წინაშე და შეიყვაროს იგი, რათა იხსნას სიყვარულით და დაუბრუნოს ასულს ადამიანის სახე. ამ დროს ის მოწმე ხდება ფერისცვალებისა, რასაც უნდა შეხვდეს დაბრკოლება, თუ არსებობს პიროვნება, რომელსაც დაკისრებული აქვს მაღალი მისია, რომლის აღსრულებასაც მისგან და მხოლოდ მისგან მოელიან, არსებობს და უნდა გამოჩნდეს კიდევ ცრუმირი, რომელიც მიითვისებს მის ნაღვაწს, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდება. ცრუმირი განსაკუთრებული პერსონაჟია ზღაპარში, მას ნამდვილ გმირთან ერთად ესქატოლოგიური ფუნქცია აქვს დაკისრებული, ცრუმირი ანუ ანტიგმირი იმით განსხვავდება მავანისაგან. ვლ. პროპის ტერმინოლოგიით, ანტაგონისტისგან, რომ იგი კი არ აბრკოლებს ნამდვილს გმირს მიზნისკენ მიმავალ გზაზე, არც უბრალოდ იტაცებს მის მონაპოვარს, არამედ სწადის უარესს – სატანურ საქმეს: მის პიროვნებას იტაცებს. ცრუმირი ნამდვილი გმირის სახით ეცხადება მამის კარს იმ ნამდვილის მიერ გამოხსნილ ასულთან ერთად და არავის, არც თავად მოტაცებულ ასულს, არც მამას, ეჭვი არ ეპარებათ მის ნამდვილობაში. ცრუმირი ატარებს სატანურ სიცრუეს, სავსებას სიცრუისა, ის უკანასკნელი სიცრუის ხორცშესხმაა, ის ანტიქრისტეა.

ზღაპრის დასასრულს, წუთისოფლის დასასრულის მიჯნაზე, ერთ პიროვნებაში იყრის თავს წუთისოფლის მთელი სიცრუე და ბოროტება. მსმენელი მოწმე ამ ამბისა ელის საბოლოო მხილებას, რასაც ბუნებრივად მოსდევს უკანასკნელის განკითხვა. ეს ხდება ცრუქორწილზე, სადაც ზეიმობს გამარჯვებას "მთავარი იგი ამის სოფლისა". მაგრამ წამები

დროუამისა, რომელზედაც იგი ბატონობდა, დათვლილია: უკანასკნელ წამებში გამოცხადდება მკვდრეთით აღმდგარი და ძალაგანახლებული ნამდვილი გმირი ცრუს სამხილებლად, რათა ჩაფუშოს ცრუქორწილი და გამართოს ნამდვილი ქორწილი – უფლისწულისა და მეფის ასულის სამარადისო შეუღლება. როცა დაბრუნდება სიძე განკითხვის დღეს, ყველას თავისას მიუზღავს და დახშავს კარს, ხოლო ცრუგმირი, როგორც ყველა ცრუსტუმარი, უფლისწულის ქორწილზე შემოპარული, რომელსაც არ მოსავს "სამოსელი საქორწინე", გაძევებული იქნება "ბნელსა მას გარესკნელსა" (მათე, 22,2–13).

ცხადია, ეს ქორწილი არ არის ერთი რიგითი წუთისოფლური ქორწილი; რომლის შემდგეაც ახალი თაობის დაბადებას მოელოან. ზღაპარი ამბობს, ეს წყვილი ბედნიერი გახდაო, ამგრამ არც ერთს ზღაპარს არ უთქვამს ბევრი შვილები შეეძინაო. ამ ქორწილის დღე უხვადლიოა, როგორც ის მერვე დღე, რომელსაც არა აქვს დასასრული.